

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის
მიერ 2016 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ

ანგარიში

სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების - განყოფილებებისაგან.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილება;
- ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება;
- გ) იურიდიული განყოფილება;
- დ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილება

მოგახსენებთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (edocumemt) მეშვეობით.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ მოწოდებული იქნება საქმისწარმოების და მოქალაქეთა მომსახურების მთელი წლის სტატისტიკური ანგარიში:

საქმისწარმოება

1. 2016 წლის 4 იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით სულ შემოსულია -14 413 კორესპოდენცია.

აქედან:

- ა) მოქალაქის განცხადება - 9 400
- ბ) სამინისტროებიდან, უწყებებიდან, მთავრობის აპარატიდან და სხვა - 5013;

2. შიდა დოკუმენტაცია ანუ მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების შიდა წერილები - 2 742

3. გატარებული სამართლებრივი აქტები: პირადი - 1 473, წარმომადგენლის-144;

4. გასული კორესპოდენცია - 6 852;

მოქალაქეთა მომსახურება

1. 2016 წლის 4 იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით მოქალაქეთა მომსახურების რეგისტრაციის ჟურნალში გატარდა - 1 050 მოქალაქე;

2. გამგებელთან მიღებაზე რეგისტრაციაში გატარდა - 428 მოქალაქე.

გზავნილები

1. ჩვენს მიერ საქართველოს ფოსტის მეშვეობით დამისამართებული იქნა შესაბამის ადრესატებთან - 1 222 წერილი.

საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოსულია - 65 განცხადება, რომელთაგან ყველა განცხადებაზე იქნა გაცემული პასუხი. აქედან საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნაზე და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის გადაწყვეტილება არ მიღებულა.

Interflow - მომსახურება

1. Interflow სერვისით შემოსულია - 3 138 კორესპოდენცია

2. Interflow სერვისით გაგზავნილია - 1 669 კორესპოდენცია.

არქივი

არქივის მიერ მეცნიერულად დამუშავებული და შეკერილი იქნა:

1. 2009-2014 წლების დოკუმენტები - ბინების პრივატიზების შესახებ - 99 ერთეული.

2. გათავისუფლებულ თანამშრომელთა პირადი საქმეები - 214 ერთეული

3. სხვადასხვა დოკუმენტები - 76 საქმე.

არქივში მოზიდული იქნა გამგეობის სხვადასხვა სამსახურებიდან - 248 საქმე.

იურიდიული განყოფილება

2016 წლის განმავლობაში გამგებლის მიერ გამოცემული ბრძანებები, მათ შორის:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებები გამგეობის ძირითად საქმიანობაზე - 1467.

იურიდიული განყოფილების მიერ სისტემატიურად ხორციელდებოდა:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების დებულებების მომზადების უზრუნველყოფა, სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენა.

გამგეობის თანამდებობის პირებზე და მოხელეებზე მათი უფლებამოსილების განხორციელებაში ორგანიზაციული და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

გამგებლის სამართლებრივ აქტებზე ექსპერტიზის ჩატარება.

გამგეობის ინტერესების სასამართლოში დაცვა.

გამგებლის ინიციატივით საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადება.

იურიდიული განყოფილების მიერ ორგანიზებული და უზრუნველყოფილი იქნა 2016 წელში ვაკანტურ თანამდებობაზე დასაკავებლად კონკურსისა და საჯარო მოსამსახურეთა ატესტაციის ჩატარება და ჩასატარებლად მასალების მომზადება

იურიდიული განყოფილების მიერ:

2016 წლის განმავლობაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამოიცა 1400 ინდივიდუალურ – ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

იურიდიული განყოფილების მიერ ვიზირებული იქნა 1221 იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტი

შემოსული და განხილული იქნა 972 განცხადება

მომზადებული იქნა უზუფრუქტისა და სერვიტუტის 16 ხელშეკრულება

წარმოებაშია 58 სასამართლო საქმე - აქედან:

ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს წარმოებაში: 12 საქმე

ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში: 24 საქმე

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში: 1 საქმე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში: 15 საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში: 2 საქმე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში: 4 საქმე

2016 წელს ჩატარებული იქნა 60 სასამართლო პროცესი საქალაქო/ რაიონული/ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში.


ჩატარებული იქნა 10 ადმინისტრაციული მოსმენა

მონაწილეობა მიღებული იქნა საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, იდენტიფიცირების კომისიაში, სატენდერო კომისიაში, საპრემიო კომისიაში, მონიტორინგის კომისიაში, ინვენტარიზაციის კომისიაში, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიაში და სარეზერვო ფონდის განკარგვის კომისიაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

2016 წლის განმავლობაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას განსახილველად დაეწერა 1485 სხვადასხვა სახის კორესპონდენცია, აქედან საპასუხოდ მომზადდა:

- **615 - ცნობა;**
- **100 - შუამდგომლობა;**
- **122 - საპასუხო წერილი;**
- **27 - მოხსენებითი ბარათი;**



საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ჩართულია გამგებელთან მოქალაქეთა მიღების ფორმატში, სადაც ოპერატიულად ხდება მოქალაქეთა მხრიდან დასმული პრობლემების შესწავლა/ გადაჭრა კომპეტენციის ფარგლებში.

განყოფილება დებულების თანახმად წლის განმავლობაში თითოეული კვარტალის მიხედვით დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

- ✓ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებას;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის საჯაროობას;
- ✓ მათი საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრეს-დაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას; მათ ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან;
- ✓ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებას;
- ✓ საჯარო ინფორმაციის გაცემას;
- ✓ გამგებლის წარმომადგენელთათვის მეთოდურ დახმარებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა განყოფილების ინიციატივით და ორგანიზებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული გამწვანების აქციები, რომელშიც ჩართული იყვნენ გამგეობის და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები. სულ დაირგო 30 ძირი ფიჭვის და 30 ძირი ნაძვის ხე. ანალოგიური გამწვანების აქციები გაგრძელდება მომავალშიც.

2016 წელს პირველად ჩატარდა გასართობ-შემეცნებითი ტურნირი ჭადრაკში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს შორის, რაც მიზნად ისახავს ჭადრაკის პოპულარიზაციას. პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორი გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, „ქალთა ოთახი“ და განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და

ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურია. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 13 საბავშვო ბაღში პედაგოგებს ტრენინგები ჩაუტარა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელმა. ტურნირის ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვეს სოფელ აჭარისწყლის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა, ტურნირის ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

აღსანიშნავია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისა და აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც ქ. ბათუმის „რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“-ს ექიმებმა ჩაატარეს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში, საერთო ჯამში გამოკვლეული იქნა ასამდე ხელვაჩაურის ადგილობრივი მოსახლე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ინიციატივითა და ორგანიზებით მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარდა დასუფთავების აქციები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებსა და სოფლებში. აღნიშნულ აქციებში საჯარო მოხელეებთან ერთად მონაწილეობდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გზების დაბეტონების მიმდინარეობის პროცესში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება 2016 წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

2016 წელს განყოფილება სისტემატურად ახორციელებდა მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. მათ შორის განახორციელა:

მუნიციპალიტეტის მომარაგება საკანცელარიო მასალებით ხელშ. № 51, 21969 ლარი, (მთელი წლის მანძილზე).

მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რემონტი:

შპს "ავტოსტარი" . ხელშ. №58 23.03.2016 წ. 4000 ლარი, "პაჯერო იო" რემონტი.

შპს "ავტოსტარი" ხელშ. №31 26.02.2016 წ. 8000 ლარი.

შპს "თეგეტა მოტორსი" ხელშ. №14 15.02.2016 წ. 4500 ლარი. "ჰიუნდაი ტუქსონი".

შპს "თეგეტა მოტორსი" ხელშ. № 106 05.05.2016 წ. 5000 ლარი "ჰიუნდაი IX-35".

ი.მ. რამაზ თავდგირიძე ხელშ. №162 27.07.2016 წ. 1100 ლარი ა/მ BMW-520

შპს "თეგეტა მოტორსი" ხელშ. №№ 39 და 40, შეიცვალა ა/მ საბურავები.

შპს "დანი-2015" ხელშ. № 165 29.07.2016 წ 4000 ლარი ა/მ "პაჯერო იო" რემონტი

შპს "გუგა" ხელშ. №150 24.06.2016 წ 5417 ლარი. "მიცუბიში აუტლანდერი".

1. შევიძინეთ კომპიუტერული ტექნიკა ხელშ. № 110 05.05.2016 წ. შპს "იუ-ჯი-თი" 15277,50

2. მოვამარაგეთ მუნიციპალიტეტი სამეურნეო მასალებით. შპს "კანცუმი" ხელშ. №33 01.03.2016 წ. 4900 ლარი.

3. შპს "რომა"-თან გვექონდა გაფორმებული №№ 11 და 12 ხელშეკრულება 11.02.2016 წ. წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ, რითაც ვამარაგებდით გამგეობას და საკრებულოს მინერალური წყლითა და ტკბილეულით, მთლიანი ღირებულებით 4000 ლარი.

4. შპს "ლაშვარდი" ხელშ. №№ 75 და 76, 05.04.2016 წ. მთლიანი ღირებულება შეადგენს 4830 ლარს. დამუშავდა მუნიციპალიტეტის შენობის სახურავის ხის კონსტრუქციები ცეცხლგამძლე და ანთისეპტიკური ხსნარით, აგრეთვე შევიძინეთ სახანძრო ინვენტარი.

5. შპს "ალფა+" გაფორმებული გვექონდა ხელშ. № 10, 11.02.2016 წ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომპიუტერული ტექნიკის შეკეთებასთან დაკავშირებით. მთლიანი თანხა შეადგენს 4900 ლარს.

6. შპს "კანცუმი" მოვამარაგეთ მუნიციპალიტეტი სანათი საშუალებებით. ხელშ. №69

30.03.2016 წ. მთლიანი თანხა შეადგენს 3000 ლარს.

9. შპს "კანცუმი" მოვამარაგეთ მუნიციპალიტეტი კარის საკეტებითა და კარის საკეტის გულით. ხელშ. № 70 მთლიანი თანხა შეადგენს 2500 ლარს .

10. შპს "კორვეტი" ხელშ. №50, გაფორმებული 15.03.2016 წ. "ლექსმარკის" ტიპის პრინტერები კატრიჯების და დრამკატრიჯების შეცვლა და დამუხტვა. მთლიანმა თანხამ შეადგინა 4959 ლარი.

11. ი.მ. ავთანდილ გოგაძე ხელშ. № 45 გაფორმებული 14.03.2016 წ. ხელვაჩაურის. მუნიციპალიტეტში არსებული კონდიციონერების რემონტის შესახებ. 4900 ლარი.

12. შპს "დეკორი" ხელშ. №46 გაფორმებული 14.03.2016 წ. ა4 ფორმატის ქაღალდის მოწოდების თაობაზე. 4620 ლარი.

13. შპს "პენსან ჯორჯია" ხელშ. №197 გაფორმებული 05.09.2016 წ. ა4 ფორმატის ქაღალდის მოწოდების თაობაზე. 4372,50 ლარი.

14. ი.მ. რამაზ თავდგირიძე ხელშ. №259 გაფორმებული 23.12.2016 წ. გარემონტდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ა/მ "მიცუბიში L200" რომლის ღირებულებამ შეადგინა 3390 ლარი.

15. ი.მ. მარინა შაშიკაძე ხელშ. №66 გაფორმებული 28.03.2016 წ. შევისყიდეთ გამგებლის, საკრებულოს თავჯდომარის და მოადგილეების კაბინეტებისათვის მზა ფარდები. მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 4209 ლარი.

16. შპს "ფორტე" ხელშ. № 247 , გაფორმებული 22.11.2016 წ. ხელშეკრულების თანახმად, შპს "ფორტეს" უნდა უზრუნველყო "ლექსმარკის" კატრიჯების დამუხტვა და ჩიპების შეცვლა, რაც დღეის მდგომარეობით არ არის შესრულებული ხელშეკრულების პირობა. ხელშეკრულების თანახმად , მასალების მოწოდების ვადა დაუმთავრდა 20.12.2016 წ. ხოლო ხელშეკრულებას აქვს ვადა 20.01.2017 წლამდე.